ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2420439

ნომერი: AR1375847

თარიღი : 04.02.2016

გაცემის თარიღი : 12.02.2016

გაცნობის თარიღი : 12.02.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩიტაია , N 14ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონსტანტინე შავიშვილი პ/ნ 01013002960
- თბილისი მისამართის გარეშე

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 05/06/2012 წლის №195031 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 04/02/2016 წლის NAR1375847 განაცხადით მომართა კონსტანტინე შავიშვილმა და ამავე სამსახურის 05/06/2012 წლის №195031

ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მოითხოვა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 05/06/2012 წლის №195031 ბრძანებით ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ჩიტაიას ქ. N14ა–ში, ინდ. ბინათმშენებლობის ამხანაგობა "ჩიტაიას ქუჩა 14ა–ს" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი: N01.16.01.017.006) შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2012 წლის 29 ივნისიდან 2013 წლის 29 მაისის ჩათვლით. ამავე სამსახურის 27/05/2013 წლის №690264 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 05/06/2012 წლის №195031 ბრძანებაში და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 29 აპრილის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, 05/06/2012 წლის №195031 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომაა, კერძოდ, შეთანხმებულ +4.20 ნიშნულის გეგმაზე ექსპლიკაციის ნაწილში შეცდომით დამატებით მითითებულია საოფისე ფართობი. ასევე, არასწორადაა მითითებული საზაფხულო ფართობი, რომელიც შეადგენს 293.30 კვ.მ.–ს, რაც იწვევს საერთო ფართობის ცვლილებას, რომელიც შეადგენს 3271,29 კვ.მ.–ს.
წარმოდგენილი განაცხადით, მოთხოვნილია სამსახურის 05/06/2012 წლის №195031 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული +4.20 ნიშნულის გეგმის ჩანაცვლება განმცხადებლის მიერ 04/02/2016 წლის NAR1375847 განაცხადით წარმოდგენილი +4.20 ნიშნულის გეგმით, ასევე საზაფხულო და შესაბამისად, საერთო ფართობების მაჩვენებლების გასწორება.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია, რის შედეგადაც მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა, გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში და ჩაანაცვლოს +4.20 ნიშნულის გეგმა განმცხადებლის მიერ 04/02/2016 წლის NAR1375847 განაცხადით წარმოდგენილი +4.20 ნიშნულის გეგმით, ასევე გაასწოროს საზაფხულო და შესაბამისად, საერთო ფართობების მაჩვენებლები.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 05/06/2012 წლის №195031 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).: 3271,29; საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:293,30; ასევე, სამსახურის 05/06/2012 წლის №195031 ბრძანებით შეთანხმებული +4.20 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს განმცხადებლის მიერ 04/02/2016 წლის NAR1375847 განაცხადით წარმოდგენილი +4.20 ნიშნულის გეგმით. სამსახურის 05/06/2012 წლის №195031 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 05/06/2012 წლის №195031 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.